ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #4

11 აგვისტო 2020 წელი

ქ.ბაღდათი 15.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
მაია კბილაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი: თამთა ღვალაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნჯრგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. თათია ღვალაძე

თანამომხსენებელი. მარეხი მშვენიერაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა: თამთა ღვალაძემ

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგია გასაგებია ბავშვთა დაცვის მიმართულებით განყოფილება შეიქმნება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ უნდა შექმნილიყო 1ივლისს სამსახური ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით, მაგრამ არსებული პანდემიის პირობებიდან გამომდინარე მოხდა საკითხის გადატანა 1სექტემბრისთვის ვქმნით განყოფილებას, განყოფილება მინიმუმ 5 პოზიციისგან იქნება შექმნილი პრაქტიკულად მუხლების ცვლილებებმა გამოიწვია დებულების მთლიანი შეცვლა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგია ვიცით რა თანხები გვაქვს რესურსი მწირეა ფუნქციურად ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებას სამოძრაო თანხები დასჭირდება. კიდევ ერთხელ მივესალმები ამ განყოფილების შექმნას და მომავალი ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა მოხდეს ამ განყოფილების მიმართულებით ფუნქციონირებისათვის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით მიმართა მარეხი მშვენიერაძეს, რომ მხოლოდ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე იქნება ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა თუ ყველასათვის

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა მაია კბილაშვილს, რომ აქ არ არის მარტო სოციალურად დაუცველი ბავშვები არამედ ყველა ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით იქნება მუშაობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ. საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ. საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 4 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყემელაშვილი